



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

26. 10. 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

26.11.22

თბილისი

შინაარსი

I.	4	
II.	აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა	5
III.	პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	6
	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	6
	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	10
	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	14
	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	16
	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რამაზ ჭურდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ჭრელაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო სახელწოდება (ქართულად)	პროგრამის	ქართული ფილოლოგია
საგანმანათლებლო სახელწოდება (ინგლისურად)	პროგრამის	Georgian Philology
უმაღლესი განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²		ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში - Master of Arts (MA) in Georgian (Kartvelian) Linguistics / 0232.2.4 - ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში - Master of Arts (MA) in Georgian Literature
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი		0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³		
სწავლების ენა		ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა		120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)		აკრედიტებული (2019 წლის 21 ნოემბერი, გადაწყვეტილება #211)

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, ექვსი თვის ვადაში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. 2020 წელს აკრედიტაციის საბჭომ დაადასტურა 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება პროგრამაში.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან, “ქართველური ენათმეცნიერება” და “ქართული ლიტერატურა”. კურსდამთავრებულს, არჩეული მოდულის შესაბამისად, ენიჭება ქართველური ენათმეცნიერების, ან ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 5 22 0001308248 (18/10/2022) თანახმად, 2021 წლის 26 ოქტომბერს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, რამაზ ქურდაძე, თამთა ცხოვრებაძე, ანა ჭრელაშვილი. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს შემდეგი კურსები: „ძველი ქართული ენა“, „ქართველური ლექსიკოლოგია“, „ქართველური ლექსიკოგრაფია“.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნული მოდულიდან ამოღებული უნდა იქნეს საგანი: „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისთვის“, რადგან ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების თემატიკა არ შედის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების სიღრმისეულ სწავლებას.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის მოდულში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში, ქართული სალიტერატურო პროცესის სრული სურათის წარმოჩენისათვის გათვალისწინებული იყოს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდისათვის შესაბამისი სასწავლო კურსები.
- ქართული ფილოლოგიის პროგრამის ორივე მოდულისათვის საერთო ენათა ბლოკის კურსებში შეტანილია მეგრულ-ლაზურის და სვანურის პრაქტიკული კურსები, მაგრამ რადგან პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი ქართველური ენათმეცნიერების მოდული, ამ მოდულის პროფილიდან გამომდინარე, ამავე მოდულში სავალდებულო კურსებად

უნდა იკითხებოდეს მეგრულ-ლაზური და სვანური, თანაც არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ კურსები, რომლებიც მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკითხებს მოიცავენ (მით უმეტეს, რომ საბაკალავრო დონეზე მეგრულ-ლაზური და სვანური საერთოდ არ ისწავლება).

- მეგრულ-ლაზურის და სვანურს (და ბუნებრივია, ქართულის) კურსების გავლის შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნად არჩევითებიდან უნდა გადმოვიდეს „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი გრამატიკა“, ვინაიდან ქართველური ენათმეცნიერების მოდულის ძირითად საგნებში მოცემული ერთი განზოგადებული კურსი „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“ ვერ ამოწურავს საერთო ქართველურ საენათმეცნიერო პრობლემატიკას, რადგან ამ კურსის („ქართველური ფონემატური სტრუქტურა“) მიღმა რჩება ქართველური მორფოლოგია და სინტაქსი.
- მოხდეს პროგრამისა და მისი თანდართული დოკუმენტაციის ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობების ჩასწორება.
- ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამის სილაბუსებში ჩაემატოს პროგრამაში წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურის და სვანურის ენობრივი სტატუსის საპირისპირო მოსაზრებების ამსახველი კრებული, კერძოდ: „ქართველური ენები და დიალექტები“, (ერთი „სამეცნიერო პოლემიკის გამო“), არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, „Volkswagen-Stiftung“-ის პროექტი „ენობრივი სიტაცია თანამედროვე საქართველოში“, თბ., 2007.
- სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში“ ერთნაირად უნდა მოიცავდეს როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სასწავლო მასალას.
- შემუშავდეს ქართული ენის ცოდნის შემოწმების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ვისაც ქართულ ენაზე არ მიუღია სწავლების წინა საფეხურზე განათლება.
- რეკომენდებულია „PDCA“ პრინციპის ფარგლებში, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა სამიზნე ნიშნულების ფორმირების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის მიღების დარგობრივი წინაპირობები და დეტალურად განისაზღვროს, რომელი დარგის, მიმართულების, სპეციალობის კურსდამთავრებულებს ექნებათ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.
- სასურველია კვლევითი საქმიანობის განვითარება, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში. აქტივობების განხორციელება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა მოამზადა არგუმენტირებული პოზიცია.

რეკომენდაცია:

პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს შემდეგი კურსები: „ძველი ქართული ენა“, „ქართველური ლექსიკოლოგია“, „ქართველური ლექსიკოგრაფია“. გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია:

პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნული მოდულიდან ამოღებული უნდა იქნეს საგანი: „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისთვის“, რადგან ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების თემატიკა არ შედის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

უნივერსიტეტის აზრით, ქართული ფილოლოგიის სპეციალისტებს - შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით - ხშირად უწევთ ქართული ენის სწავლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობებისთვის და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. შესაბამისად, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სტუდენტებისთვის მიეცა შესაძლებლობა, დაუფლებოდნენ ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდებს, რაც მათ დაეხმარებოდათ დასაქმებაში, არაფორმალური განათლების ფარგლებში. შესაბამისად, არჩევითი საგანი „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისთვის“ ემსახურება შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვას პროგრამაში და იგი შეესაბამება პროგრამის შემდეგ მიზნებს: ჩამოაყალიბოს მკვლევარი, რომელიც აკადემიური ცოდნითა და თანამედროვე მიდგომებით წვლილს შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთა დარგობრივი ცოდნა და სხვადასხვა (კონკრეტული, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიეროსაგანმანათლებლო, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და სხვ.

ექსპერტებს რეკომენდაცისათან წარმოდგენილი დაწესებულების არგუმენტი არ მიაჩნიათ დამაჯერებლად, რადგან პედაგოგიური პროფილის საგანი: „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისათვის“ არ შეესაბამება არც ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის პროფილს და არც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებს. ამიტომ ექსპერტების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია ძალაში რჩება.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების სიღრმისეულ სწავლებას.

პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის მოდულში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში, ქართული სალიტერატურო პროცესის სრული სურათის წარმოჩენისათვის გათვალისწინებული იყოს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდისათვის შესაბამისი სასწავლო კურსები.

აღნიშნული რეკომენდაციების შესახებ უნივერსიტეტი განმარტავს, რომ პროგრამის ქართული ლიტერატურის მოდულის შემდეგი სავალდებულო საგნები ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების სიღრმისეულ შესწავლას ყველა ეპოქის მიხედვით: სასულიერო, საერო, აღორძინების ეპოქის, მე-20-21-ე საუკუნეები. ასევე არჩევით კურსად შეტანილია საგანი „მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ლიტერატურის პარადიგმები“, რაც სწორედ ჟანრის სპეციფიკის საკითხების გაღრმავებას ისახავს მიზნად. მიუხედავად ამისა, გავითვალისწინებთ ექსპერტების რეკომენდაციას და არჩევით კურსებში დავამატებთ ორ საგანს: „აღორძინების ეპოქა ქართულ ლიტერატურაში და დავით გურამიშვილი“ და „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული ჟანრები“.

რეკომენდაცია:

ქართული ფილოლოგიის პროგრამის ორივე მოდულისათვის საერთო ენათა ბლოკის კურსებში შეტანილია მეგრულ-ლაზურის და სვანურის პრაქტიკული კურსები, მაგრამ რადგან პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი ქართველური ენათმეცნიერების მოდული, ამ მოდულის პროფილიდან გამომდინარე, ამავე მოდულში სავალდებულო კურსებად უნდა იკითხებოდეს მეგრულ-ლაზური და სვანური, თანაც არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ კურსები, რომლებიც მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკითხებს მოიცავენ (მით უმეტეს, რომ საბაკალავრო დონეზე მეგრულ-ლაზური და სვანური საერთოდ არ ისწავლება).

აღნიშნული რეკომენდაციის შესახებ უნივერსიტეტი მიუთითებს: ჩვენ მოვერიდეთ სავალდებულო კურსებად მეგრულ-ლაზურისა და სვანურის შეტანას, შემდეგი მიზეზით: საენათმეცნიერო პროფილით სწავლის მოწადინე სტუდენტ მაგისტრანტთა რაოდენობა ჩვენს უნივერსიტეტში არ არის დიდი, ამ კონტინგენტის პირადი მონაცემებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვცდილობთ სამაგისტრო ნაშრომის შერჩევის დროს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მათი მონაცემები. (მაგალითად, ჩვენი მაგისტრატურის კურსდამთავრებულის მაია ცისკარიშვილის (წოვათუშურის პრაქტიკულად ცოდნა) მივმართეთ მისთვის ახლობელ, საველე მუშაობისთვის მისაწვდომ მასალას და საგანგებოდ ამ მიზნით, კონსულტანტად მოვიწვიეთ პროფ. ბელა შავხელიშვილი); ნაშრომის სათაურია: თუშების (წოვა, ჩადმა) მეტყველების დახასიათება (სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ლექსიკის მიხედვით); ხოლო ქართველური სივრცის ლინგვისტური დახასიათების შემცველი კურსების შესახებ ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ ჩვენი დასაბუთება (რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამას, ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ განახლებულ სამაგისტრო პროგრამას და მას უახლოეს ხანებში წარმოვადგენთ). ცხადია, სტუდენტის არჩევანის შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს მათთვის სასურველი ქართველური ენა-კილოების სწავლებას. მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკითხებს მოიცავს ისეთი კურსები, როგორცაა: „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი გრამატიკა“, „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“, საერთოქართველური მონაცემები გათვალისწინებულია გვერდი 3 (სულ 4) „ქართული სამწიგნობრო ენის სახელური და ზმნური პარადიგმების“ კურსშიც. აქვე დავძენთ, რომ

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა არ არის სპეციალიზებული ენათმეცნიერების მიმართულებაზე. ეს არის ორმოდულიანი პროგრამა და, შესაბამისად, თითოეულ მოდულს აქვს კრედიტთა (და შესაბამისად, სასწავლო კურსების) მკაფიოდ განსაზღვრული რაოდენობა.

ექსპერტების აზრით, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოდულად **ქართველური ენათმეცნიერების** არსებობის შემთხვევაში, როგორც ამას დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს, რეკომენდაციაში მითითებული საგნები სავალდებულოა, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, განსახილველი პროგრამის ამავე მოდულში არსებული ქართველური ენათმეცნიერების საგნები: „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“, „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი გრამატიკა“, ვერ იქნება საფუძლიანად და სიღრმისეულად შესწავლილი. ამის გამო ექსპერტებს რეკომენდაციისთან წარმოდგენილი დაწესებულების არგუმენტი არ მიაჩნიათ დამაჯერებლად და რეკომენდაციას ძალაში ტოვებენ.

რეკომენდაცია:

მეგრულ-ლაზურის და სვანურს (და ბუნებრივია, ქართულის) კურსების გავლის შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნად არჩევითებიდან უნდა გადმოვიდეს „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი გრამატიკა“, ვინაიდან ქართველური ენათმეცნიერების მოდულის ძირითად საგნებში მოცემული ერთი განზოგადებული კურსი „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“ ვერ ამოწურავს საერთო ქართველურ საენათმეცნიერო პრობლემატიკას, რადგან ამ კურსის („ქართველური ფონემატური სტრუქტურა“) მიღმა რჩება ქართველური მორფოლოგია და სინტაქსი.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას

რეკომენდაცია:

მოხდეს პროგრამისა და მისი თანდართული დოკუმენტაციის ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობების ჩასწორება.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და ხარვეზების გამოსწორებას უახლოეს ხანში გეგმავს,

რეკომენდაცია:

ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისი სილაბუსებში ჩაემატოს პროგრამაში წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურის და სვანურის ენობრივი სტატუსის საპირისპირო მოსაზრებების ამსახველი კრებული, კერძოდ: „ქართველური ენები და დიალექტები“, (ერთი „სამეცნიერო პოლემიკის გამო“), არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, “Volkswagen-Stiftung“-ის პროექტი „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“, თბ., 2007.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია:

სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში” ერთნაირად უნდა მოიცავდეს როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სასწავლო მასალას.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია:

შემუშავდეს ქართული ენის ცოდნის შემოწმების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ვისაც ქართულ ენაზე არ მიუღია სწავლების წინა საფეხურზე განათლება.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია “PDCA” პრინციპის ფარგლებში, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა სამიზნე ნიშნულების ფორმირების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან

პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს 2019 წლიდან. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის მიმართულებით, გამოუმუშავოს მას ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი უნარები; ჩამოაყალიბოს მკვლევარი, რომელიც აკადემიური ცოდნითა და თანამედროვე მიდგომებით წვლილს შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთა დარგობრივი ცოდნა და სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და სხვ.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ფუნქციონირებს ორი მოდული: ქართველური ენათმეცნიერება და ქართული ლიტერატურა. კურსდამთავრებულს, არჩეული მოდულის შესაბამისად, ენიჭება ქართველური ენათმეცნიერების, ან ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. შესაბამისად, პროგრამის მიზნები ფილოლოგიური დარგის ორი მიმართულებით არის განსაზღვრული: ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით პროგრამის მიზანია ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემეტიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემური საკითხების, ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თავისებურებების სწავლება; ქართული ლიტერატურის მიმართულებით პროგრამის მიზანია: ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მხატვრული და

მსოფლმხედველობრივი თავისებურებების და შესაბამისი ისტორიული, ფილოლოგიური, თეოლოგიური და სხვა პრობლემატიკის სწავლება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში განსაზღვრული ორი მოდულით სწავლება ერთი მხრივ, მოიცავს ქართველური ენათმეცნიერების ფართო სფეროს და პრობლემატიკას, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ლიტერატურის კონკრეტულ სფეროს. შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭებაც ორი განსხვავებული მიმართულებით ხდება.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ძირითად შემთხვევაში არის რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, ქართულ ფილოლოგიას, სწავლების საფეხურს, მაგისტრატურას და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. ძირითად შემთხვევაში ასახავს ფილოლოგიის დარგის სამაგისტრო საფეხურის შესაბამის კომპეტენციებს. პროგრამის მიზნებში აღწერილი და განსაზღვრული საკითხები სრულად არ არის ასახული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხ. 1. 4; 1. 5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ☑ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ☑ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ძირითადი საკითხები. კერძოდ, ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში შემდეგი საკითხები: ამჟღავნებს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც მოიცავს ქართულის და მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის ფონეტიკის, მორფოლოგიის და სინტაქსის საკითხებს, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკვანძო თემებს; სიღრმისეულად ანალიზებს ენათმეცნიერული კვლევის სხვადასხვა ასპექტს, ენის გეოგრაფიულ და სოციალურ ვარიაციებს, ენაში მიმდინარე ცვლილებათა თავისებურებებსა და მიზეზებს ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში; ავლენს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების, შესაბამისი ეპოქისა და ჟანრისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი და მხატვრული თავისებურებების, ტექსტების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარს, ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიული საკითხების საფუძველზე ტექსტის კვლევის (სემიოლოგიური, მხატვრულ-ესთეტიკური) მეთოდების ცოდნას; სხვადასხვა ასპექტით განიხილავს ქართული ლიტერატურის საკვანძო საკითხებს შესაბამისი ეპოქის ლიტერატურული პროცესების, ესთეტიკური იდეალებისა და დისკურსული ანალიზის საფუძველზე და ლიტერატურულ მიმდინარეობათა კონტექსტში; აცნობიერებს ქართული მწერლობის ადგილს მსოფლიო ლიტერატურის შესაბამისი ეპოქის ისტორიაში. სამაგისტრო პროგრამაში აღწერილია ის ძირითადი უნარები, რომელიც კურსდამთავრებულს უნდა ჩამოუყალიბდეს პროგრამის დასრულების შემდეგ: როგორც წერილობით, ისე ზეპირად საფუძვლიანად მსჯელობს ქართველური ენათმეცნიერების, ქართულის და მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის ფონეტიკის, მორფოლოგიის და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხებზე; მრავალი ასპექტით და კრიტიკულად გაიზრებს და პრაქტიკულად იყენებს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს/შემადგენელ ელემენტებს; სიღრმისეულად ფლობს ენობრივი მასალის შეგროვება-დამუშავების საველე და/ან სხვა მეთოდებს (დაკვირვების, ინტერვიუების, კითხვარების, ტესტირების და სხვ.); მრავალმხრივ მსჯელობს, აღწერს და განმარტავს ქართულ ლიტერატურულ პროცესებსა და მხატვრულ ტექსტებს კონცეპტების თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი პერიოდის მსოფლმხედველობრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში; ქართველურ ენათმეცნიერებასთან და ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებით წარმოადგენს საკუთარ ხედვას და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს; პროფესიულ საქმიანობაში იცავს და ნერგავს ქართული ლიტერატურის კულტურულ მონაპოვარსა და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს; წარმოაჩენს ქართული ლიტერატურის როლსა და მნიშვნელობას ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარებისა და თანამედროვე საზოგადოებრივ-კულტურული პროცესებისა და გამოწვევების კრიტიკული გააზრებისათვის; ავითარებს ახალ იდეებს ქართველური ენათმეცნიერების ან ქართული ლიტერატურის სფეროში, რომლებსაც არგუმენტირებულად აყალიბებს საკვალიფიკაციო

ნაშრომში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს როგორც პირველად, ისე მეორად წყაროებს, ლიტერატურულ მასალასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და ახდენს მათ სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას კვლევის უახლესი, მათ შორის ციფრული მეთოდების გამოყენებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება მოხდა თანამშრომლობით. დაწესებულების განმარტებით, მასში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პოტენციურმა დამსაქმებლებმა გარკვეული რჩევები მისცეს პროგრამაზე სამუშაო ჯგუფს, რომელთა ნაწილი გაითვალისწინეს პროგრამის შემუშავების დროს.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე, დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სამაგისტრო პროგრამაში სწავლის მიზნებიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებულია ორივე მოდულის, ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის მიმართულებებით სწავლის შედეგები და ასევე, ორივე მოდულისათვის საერთო სწავლის შედეგები, თუმცა აღნიშნული საკითხები სრულფასოვნად არ არის ასახული პროგრამაში სასწავლო კურსების სახით (დეტალურად იხ. ქვესტანდარტის რეკომენდაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს შემდეგი კურსები: „ძველი ქართული ენა“, „ქართველური ლექსიკოლოგია“, „ქართველური ლექსიკოგრაფია“.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნული მოდულიდან ამოღებული უნდა იქნეს საგანი: „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისთვის“.

რადგან ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების თემატიკა არ შედის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების სიღრმისეულ სწავლებას.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის მოდულში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში, ქართული სალიტერატურო პროცესის სრული სურათის წარმოჩენისათვის გათვალისწინებული იყოს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდისათვის შესაბამისი სასწავლო კურსები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ☑ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ☑ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ფასდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით პერიოდულად. შეფასებისას განისაზღვრება ის ფაქტორები, თუ რამდენად მიაღწია სტუდენტმა და/ან

კურსდამთავრებულმა იმ სწავლის შედეგებს, რომელიც პროგრამის მიხედვით არის განსაზღვრული. პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი კომპონენტების მიხედვით დგინდება: ა) პროგრამის შესაბამის კომპონენტში შეფასების კონკრეტული მეთოდით; ბ) კურსდამთავრებულთა თვითშეფასებით (როგორ შეაფასებენ თავად მათ მიერ მიღწეულ შედეგებს); გ) დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულების უნარების შეფასებით; დ) კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულებით; ე) სამაგისტრო ნაშრომების საბოლოო შეფასებების ანალიზით; ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებით; ზ) და სხვ. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში მოცემულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები. მაგალითად, ამა თუ იმ სასწავლო კომპონენტში 80 ქულაზე მეტი უნდა მიიღოს სტუდენტების არანაკლებ 70%-მა, 51-79 ქულა - 28%-მა, ხოლო 0-50 ქულა - 2%-მა. კურსდამთავრებულის თვითშეფასებისას კურსდამთავრებული თავად აფასებს რამდენად მიაღწია ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში სამიზნე ნიშნული არის შემდეგი: 80 ქულაზე მეტად უნდა შეაფასოს შედეგზე გავლას სტუდენტთა არანაკლებ 70%-მა, 51- 79 ქულა – 28%, 0-50 ქულა – 2%. დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასებისას დამსაქმებელი აფასებს რამდენად მიაღწია კურსდამთავრებულმა ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში სამიზნე ნიშნული არის შემდეგი: 80 ქულაზე მეტად უნდა შეაფასოს შედეგზე გავლადამსაქმებელთა არანაკლებ 70%-მა, 51-79 ქულა – 28%, 0-50 ქულა – 2%. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შეუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები (01.06.2022, ბრძანება #12). რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, დაინტერესებული პირების ჩართულობას, სამიზნე ნიშნულებს და სხვა საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
-----------------------------------------------------	----------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ☑ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ☑ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ქართველური ენათმეცნიერება და ქართული ლიტერატურა. პროგრამაზე სწავლის ნორმატიული ვადაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 ECTS კრედიტს. 30 ECTS კრედიტი ეთმობა ორივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. 36 ECTS კრედიტი განკუთვნილია თითოეული მოდულისათვის სავალდებულო დისციპლინებისთვის. 24 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი სასწავლო კურსების არჩევა. 30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომისათვის. თითოეული მოდულის სტუდენტს აქვს უფლება, რომ ორი სასწავლო კურსი აირჩიოს მეორე მოდულის საგნების ჩამონათვალიდან.

სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 30 კრედიტიანია.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე ბლოკისაგან.

ორივე მოდულისათვის სავალდებულო კურსები შეადგენს 30 კრედიტს, რომელშიც შედის შემდეგი საგნები: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში, ციფრული ჰუმანიტარია, უცხო ენა.

ქართველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნები შეადგენს 36 კრედიტს, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი საგნების სწავლება: ქართველური ფონემატური სტრუქტურა, თეორიული ენათმეცნიერების პრობლემები, ქართული სამწიგნობრო ენის სახელური და ზმნური პარადიგმები (ქართული ენის ტექნოლოგიების მიზნის გათვალისწინებით), ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები, ქართული ენის სინტაქსის კომპიუტერული მოდელირების ძირითადი საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები.

ქართული ლიტერატურის მოდულის სავალდებულო საგნები შეადგენს 36 კრედიტს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, “ვეფხისტყაოსნის” ფექსტობრივი ანალიზი, ფოლკლორი და ლიტერატურა, XVI-XVIII სს ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა, ქართული რომანტიზმი და რეალიზმი, XX საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი კონცეპტები.

ქართველური ენათმეცნიერების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეადგენს 24 კრედიტს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: გრამატიკული აზროვნების ისტორია; ქართველური დიალექტოლოგიის თეორიული კურსები; ენა და კულტურა; ენა და ფსიქოლოგია; ქართული როგორც უცხო ენა/ქართული უცხოელებისთვის.

ქართული ლიტერატურის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეადგენს 24 კრედიტს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: ქრისტიანული ანთროპოლოგია; სახისმეტყველება; სამონასტრო-სამწიგნობრო ცხოვრება; კულტურული და იდეოლოგიური კონტექსტი; მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული მწერლობის პარადიგმები; სიმბოლოთა სისტემა და ლიტერატურული დისკურსი; ტექსტის სემიოლოგია.

პროგრამის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია ენების სწავლება, რომელთა შორისაა ქართველური ენების პრაქტიკული კურსები: მეგრულ-ლაზურის პრაქტიკული კურსი - I; მეგრულ-ლაზურის პრაქტიკული კურსი - II; სვანურის პრაქტიკული კურსი - I; სვანურის პრაქტიკული კურსი - II. ასევე, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია აღმოსავლური ენების სწავლება: სპარსული ენა - I; სპარსული ენა - II; თურქული ენა - I; თურქული ენა - II. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტმა შეიძლება გაიაროს აფხაზური ენა და ძველი ბერძნული ენა.

პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებში აღწერილ დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარებს. ამასთან, პროგრამის მიზნებსა და შედეგებში აღწერილი ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და სხვა კომპეტენციები მოიცავს ისეთი საკითხებისა და საგნების სწავლებას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროგრამაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების ანგარიშსა და სხვა დამატებით დოკუმენტაციაში გვხვდება სხვადასხვა სახის ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები საგნების სახელწოდებების, მოდულების სახელწოდებებისა და რაოდენობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამაზე დართული დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ქართული ფილოლოგიის პროგრამის ორივე მოდულისათვის საერთო ენათა ბლოკის კურსებში შეტანილია მეგრულ-ლაზურის და სვანურის პრაქტიკული კურსები, მაგრამ რადგან პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი ქართველური ენათ-მეც-ნი-ერე-ბის მოდული, ამ მოდულის პროფილიდან გამომდინარე, ამავე მოდულში სავალდებულო კურსებად უნდა იკითხებოდეს მეგრულ-ლაზური და სვანური, თანაც არა მხოლოდ პრაქ-ტი-კუ-ლი, არამედ კურსები, რომლებიც მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკით-ხებს მოიცავენ (მით უმეტეს, რომ საბაკალავრო დონეზე მეგრულ-ლაზური და სვა-ნური საერთოდ არ ისწავ-ლება).
- მეგრულ-ლაზურის და სვანურს (და ბუნებრივია, ქართულის) კურსების გავლის შემდეგ ქარ-თველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნად არჩე-ვი-თე-ბი-დან უნდა გადმოვიდეს „ქართველურ ენა-კილოთა შდარებითი გრამატიკა“, ვი-ნა-ი-დან ქართველური ენათმეცნიერების მოდულის ძირითად საგნებში მოცემული ერთი განზოგადებული კურსი „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“ ვერ ამოწურავს საერთო ქარ-თვე-ლურ საენათმეცნიერო პრობლემატიკას, რადგან ამ კურსის („ქართველური ფონემატური სტრუქტურა“) მიღმა რჩება ქარ-თვე-ლუ-რი მორფოლოგია და სინ-ტაქ-სი.
- მოხდეს პროგრამისა და მისი თანდართული დოკუმენტაციის ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობების ჩასწორება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ☐ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ☐ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ☐ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი ექვსკრედიტიანია. პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან. თითოეულ მოდულში კი განსაზღვრულია ძირითადი და არჩევითი საგნები. პროგრამაში ასევე განსაზღვრულია ორივე მოდულისათვის საერთო საგნები, სულ 30 კრედიტის მოცულობით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს შემდეგი ფაქტორები: სწავლის შედეგების კავშირი მიზნებთან და სასწავლო კურსების შინაარსთან, სწავლებისა და სწავლის, შეფასების მეთოდოლოგიასთან, სათანადოდ შერჩეული და შესაბამისი მოცულობის სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, რომლებიც ითვალისწინებს ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ მიღწევებსა და უახლეს კვლევებს.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე ბოლოკისაგან.

ორივე მოდულისათვის სავალდებულო კურსები შეადგენს 30 კრედიტს, რომელშიც შედის შემდეგი საგნები: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში, ციფრული ჰუმანიტარია, უცხო ენა.

ქართველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნები შეადგენს 36 კრედიტს, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი საგნების სწავლება: ქართველური ფონემატური სტრუქტურა, თეორიული ენათმეცნიერების პრობლემები, ქართული სამწიგნობრო ენის სახელური და ზმნური პარადიგმები (ქართული ენის ტექნოლოგიზების მიზნის გათვალისწინებით), ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები, ქართული ენის სინტაქსის კომპიუტერული მოდელირების ძირითადი საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები.

ქართული ლიტერატურის მოდულის სავალდებულო საგნები შეადგენს 36 კრედიტს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, “ვეფხისტყაოსნის” ფექსტობრივი ანალიზი, ფოლკლორი და ლიტერატურა, XVI-XVIII სს ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა, ქართული რომანტიზმი და რეალიზმი, XX საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი კონცეპტები.

ქართველური ენათმეცნიერების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეადგენს 24 კრედიტს, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: გრამატიკული აზროვნების ისტორია; ქართველური დიალექტოლოგიის თეორიული კურსები; ენა და კულტურა; ენა და ფსიქოლოგია; ქართული როგორც უცხო ენა/ქართული უცხოელებისთვის.

ქართული ლიტერატურის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეადგენს 24 კრედიტს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია შემდეგი საგნების სწავლება: ქრისტიანული ანთროპოლოგია; სახისმეტყველება; სამონასტრო-სამწიგნობრო ცხოვრება: კულტურული და იდეოლოგიური კონტექსტი; მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული მწერლობის პარადიგმები; სიმბოლოთა სისტემა და ლიტერატურული დისკურსი; ტექსტის სემიოლოგია. სასწავლო კურსების ნაწილში დარგის სპეციფიკა სრულფასოვნად არ არის წარმოდგენილი.

განსახილველ სამაგისტრო პროგრამაში ყურადღებას იქცევს მეგრულ-ლაზურის და სვანურის ლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხი. პროგრამაში წარმოდგენილ სი-ლა-ზუსებში, ისინი კილოებად მოიხსენიება. პროგრამის ხელმძღვანელთან გა-საუბ-რე-ბის დროს გამოიჩინა, რომ ერთი მხრივ ამას იმით ამართლებენ, რომ მეგრულ-ლიც-ლაზურულ და სვანურულ კილოების, დიალექტების სახით არსებობენ და მათ სა-ლი-ტერატურო ენები არა აქვთ. ძნელია ბოლომდე ამ არგუმენტის გაზიარება, რადგან მსოფ-ლიოში ბევრი ენაა, რომელთაც სალიტერატურო ვარიანტი არა აქვთ, დია-ლექ-ტების დონეზე არსებობენ, მაგრამ მაინც ენებად იწოდებიან. ტრადიციულად ასეა ქარ-თვე-ლურ ენათმეცნიერებაშიც – მეგრული, ლზური და სვანური ქართველური ჯგუფის ენებად განიხილება სალიტერატურო ვარიანტის მქონე ქართულთან ერთად. ეს მო--საზ-რე-ბაა გატარებული ქართველი კლასიკოსი ენათმეცნიერების: ა. შანიძის, ვ. თო-ფუ--რიას, არნ. ჩიქობავას, გ. მაჭავარიანის, თ. გამყელიძისა და სხვათა თხზულებებში; თუმცა არის შეხედულება, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური კილოებია და ეს ასეა ამ პროგ-რამაში. ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე ეს საკითხი სადუსკუსიო პოლემიკურ საკითხად იქცა. მართალია, პროგრამას არ ევალება ჩაერთოს ამ დის--კუ-სი-ა-ში, მაგრამ იმისათვის, რომ მაგისტრანტებმა სიღრმისეულ დონეზე გაიზარონ ქარ-თუ-ლის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ზუსტი საენათმეცნიერო კვალი-ფი-კაცია, ამ პო-ლე-მიკის ამსახველი თუნდაც ერთი კრი-ტი-კუ-ლი ნაშ-რომი უნდა იქნეს გათვა-ლის--წინებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე მოდულისათვის სავალდებულო საგანი, “კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში”, მოიცავს მხოლოდ ქართველური ენათმეცნიერების შესაბამის საკითხებს, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიჩინა, რომ საგანი ორივე მოდულისათვის არის სავალდებულო, მას წაიკითხავენ როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სპეციალისტი პროფესორები. მიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსში წარმოდგენილი იყოს როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სასწავლო მასალა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამის სილაბუსებში ჩაემატოს პროგრამაში წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურის და სვანურის ენობრივი სტატუსის საპირისპირო მოსაზრებების ამსახველი კრებული, კერძოდ: „ქარ--თვე-ლური ენები და დიალექტები“, (ერთი „სა-მეც-ნიერო პოლემიკის გამო“), არნ. ჩი-ქო-ბა-ვას ენათ-მეცნიერების ინსტიტუტი, “Volkswagen-Stiftung”-ის პროექტი „ენობრივი სი-ტუ-აცია თა-ნა-მედ-როვე საქარ-თვე-ლო-ში“, თბ., 2007.
- სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში” ერთნაირად უნდა მოიცავდეს როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სასწავლო მასალას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ უნდა ჩააბაროს წერიტი გამოცდა სპეციალობაში, რომელსაც ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტი. გამოცდა ადგენს მაგისტრანტობის კანდიდატების მზაობას, სწავლა განაგრძონ ქართული ფილოლოგიის მიმართულებით. კერძოდ, გამოცდა სპეციალობაში ამოწმებს, რამდენად იცნობს მაგისტრანტობის კანდიდატი ქართულ ლიტერატურასა და ქართველურ ენათმეცნიერებას. წერიტი გამოცდის ბილეთი მოიცავს სამ თეორიულ საკითხს ქართული ლიტერატურის მოდულისთვის და ორ თეორიულ და ერთ პრაქტიკულ საკითხს ქართველური ენათმეცნიერებისათვის. უნივერსიტეტის აზრით, რადგან წინაპირობის მიხედვით ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრიატის ნებისმიერი სპეციალობის კურსდამთავრებულს, გამოცდა სპეციალობაში დაადგენს, რამდენად შეესაბამება მაგისტრანტობის კანდიდატი ფილოლოგიის პროფილს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის ცოდნის შემოწმების წესი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს ქართული ენის ცოდნის შემოწმების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ვისაც ქართულ ენაზე არ მიუღია სწავლების წინა საფეხურზე განათლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის მიღების დარგობრივი წინაპირობები და დეტალურად განისაზღვროს, რომელი დარგის, მიმართულების, სპეციალობის კურსდამთავრებულებს ექნებათ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის შესრულება.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ პროგრამაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტების რჩევით. პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული შემდეგი სასწავლო კურსები: დიალექტოლოგია, ენა და კულტურა, ენა და ფსიქოლოგია, ციფრული ჰუმანიტარია, კვლევის მეთოდები, ქართული ენის სინტაქსის კომპიუტერული მოდელირების ძირითადი საკითხები, სხვადასხვა ენის შემსწავლელი საგნების ბლოკი და სხვ. პრაქტიკული უნარების განვითარებას აგრეთვე უწყობს ხელს პროგრამით გათვალისწინებული დიალექტოლოგიური ექსპედიცია და სასწავლო ვიზიტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რაც შეეხება კვლევით უნარებს, მათ

ჩამოყალიბებას ემსახურება სწავლების პროცესში გამოყენებული რეფერატის/პრეზენტაციის/სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა-სწავლების მეთოდებში გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურის სპეციფიკა, კერძოდ, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდები, ასევე, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი მოთხოვნები და სხვ.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: სწავლების პროცესში გამოიყენება:

დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის სისტემატურად ეწყობა სასწავლო ვიზიტები კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. პროგრამა ითვალისწინებს სავსელ პრაქტიკასაც დიალექტოლოგიის მიმართულებით. სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით პერიოდულად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პრინციპების, წესებისა და პროცედურის შესაბამისად, რაც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3, 05.01.07 ბრძანებას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასადგენად, თითოეულ სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი მეთოდები და მიდგომები, რომელთა შერჩევის დროს გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ფაქტორები: სწავლების საფეხურის - მაგისტრატურის სპეციფიკა - ორიენტაცია კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი რეკომენდაციები, ამა თუ იმ სასწავლო კურსის სპეციფიკა.

სტუდენტები იცნობენ სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც მოცემულია სწავლის შეფასების საუნივერსიტეტო სისტემა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ცალკეული საგნების სილაბუსებში მოცემულია საგნის შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსები განთავსებულია უნივერსიტეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს და ინფორმაციას სწავლის შედეგებზე, აგრეთვე, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ, რაც რამდენიმე ფორმით ხორციელდება: 1. ზეპირი ფორმით მეცადინეობებზე, დავალებების, რეფერატების და პრეზენტაციების განხილვის დროს. 2. Google-ის საკლასო ოთახის და Moodle-ის საშუალებით, წერილობითი ფორმით; 3. Moodle-ის სისტემაში, წერილობითი ფორმით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებისას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: • (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფრომდება შეფასება F - 0 ქულა. დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-19 კალენდარული კვირების განმავლობაში; ამასთან, დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ. უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასების პროცესის ობიექტურობასა და სამართლიანობას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი სილაბუსებში, ხოლო, მეორე მხრივ, გამოცდების ცენტრი, რომელიც ორგანიზებას უწევს შუალედური და დასკვნითი გამოცდების

ჩატარებას. გარდა ამისა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს რექტორის აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი და მისი შეფასება. სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისთვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომლის წევრიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ხდება უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების და დაცვის პროცედურების მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება წარმოებს კომისიური წესით. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების და ექსპერტების მონაწილეობა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების გასაჩივრება სააპელაციო კომისიის ფარგლებში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და რეაგირების წესი, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატის სხვადასხვა სახეობას და მისი გათვალისწინება სავალდებულოა. სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატის ამომცნობი პროგრამით, Strike Plagiarism.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაციის, თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად შესაძლებელია აღნიშნული მიმართულებით ანალიზის განხორციელება:

აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დაწესებულების ადმინისტრაციული თანამშრომლებისგან, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, სასწავლო კურსებისა და შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტური გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე ხშირად დახმარებას სტუდენტები სწორედ ამ მიმართულებით საჭიროებდნენ.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის განაცხადით, როგორც ფიზიკურ, ისე დისტანციურ რეჟიმში სწავლების პერიოდში, შესაძლებელი იყო ინფორმაციის მიღება, კონსულტაციის შესაძლებლობის გამოყენება.

უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ისე ტრენინგებისა და შეხვედრების ფარგლებში სტუდენტთა მომზადებას კარიერული წინსვლისთვის (იგულისხმება ეფექტური რეზიუმეს შედგენის ინსტრუქციები, გასაუბრებისთვის მომზადება).

სტუდენტებს ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ მიეწოდებათ უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის (UMS), კორპორატიული ელ. ფოსტის, SMS შეტყობინებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მსგავსი აქტივობა ნაკლებად ფიქსირდება. ქართული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტები ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ, სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონფერენციაში. სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კითხვარის, თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, შესაძლოა ითქვას, რომ მიზანშეწონილია დამატებითი ღონისძიებების გატარება, აქტივობების დაგეგმვა სამეცნიერო გრანტების, კვლევით და საერთაშორისო პროექტების შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირებისა და მოტივირებისთვის. სტუდენტური გამოკითხვების მეშვეობით, სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის მიმართ გაცემული ძირითადი რეკომენდაციაც სწორედ ამ საკითხს ეხებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის დატვირთვა და ფუნქცია მოვალეობები;
- ვებ გვერდი;
- სტუდენტურ გამოკითხვათა შედეგები (სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა);
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კვლევითი საქმიანობის განვითარება, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში. აქტივობების განხორციელება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- ☑ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- ☑ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა წარადგინოს სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტს უნივერსიტეტის მიერ მიეწოდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს აკვირდება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც ეხმარება მაგისტრანტს თემის შერჩევაში, ადეკვატური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებაში, ნაშრომის ფორმისა და საჭირო მახასიათებლების შემუშავებასა და გამართვაში. საკვლევი საკითხისა და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ინიშნება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები.

მაგისტრანტის ხელმძღვანელის დანიშვნის წესები, მისი უფლებები, ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია და კონტროლდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტებით. ქართული უნივერსიტეტის წესდებით, სამეცნიერო მუშაობისა და ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, განსაზღვრულია სტუდენტთა და სამეცნიერო ხელმძღვანელთა ოპტიმალური თანაფარდობა: მოწვეული პერსონალისთვის შესაძლებელია 1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, აფილირებულ პროფესორს/პროფესორს, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს/ასოცირებულ პროფესორს შეუძლია იყოს მაქსიმუმ 4 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. აკადემიურ პერსონალს, რომელსაც უნივერსიტეტში უკავია ადმინისტრაციული თანამდებობაც, შეუძლია იყოს არაუმეტეს 1 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.

სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ფარგლებში გაწეული სამუშაოს შესაფასებლად უნივერსიტეტი იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულთაგან. გარდა ამისა, წარადგენს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო ანგარიშს.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ბოლო წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ანალიზი მოწმობს, რომ ნაშრომები გაფორმებული და შესრულებულია აკადემიურ დონეზე, ხდება ნაშრომების შემოწმება პლაგიატის ამომცნობი პროგრამით, Strike

Plagiarizm, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და რეაგირების წესი.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	11
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	11
თანაფარდობა	=

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის დატვირთვა და ფუნქცია მოვალეობები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- ქართული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- სტუდენტურ გამოკითხვათა შედეგები;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის 2021 წლის სამეცნიერო ანგარიში;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- ☐ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- ☐ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- ☐ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- ☐ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ აკადემიური პერსონალის არჩევის დროს, გარდა სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნებისა, მხედველობაში მიიღება შემდეგი: ა) სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები, მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში და სხვა სამეცნიერო აქტივობები; ბ) სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის

განმავლობაში; გ) საერთაშორისო თანამშრომლობა და საქმიანობა აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით; დ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში, უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამული მიმართულების განვითარების ხედვა, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის შემთხვევაში - კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი; ე) სილაბუსი/სილაბუსები (ფასდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით), ვ) სამეცნიერო ნაშრომი/პროექტი/კვლევა, რომელიც, კონკურსანტის აზრით, უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს და სხვ.; მოწვეული პერსონალის შერჩევის დროს ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: ა) უმაღლესი განათლება, შესაბამის დარგში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები/ნაშრომები ან არანაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება; გ) პედაგოგიური გამოცდილება.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას არეგულირებს „აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი“, რომლის თანახმად, პერსონალის დატვირთვა მოიცავს კვირეულ სააუდიტორიო და საკონსულტაციო საათებს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯულ დროს, საკვალიფიკაციო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას, მონაწილეობას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, სხვადასხვა სახის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს და სხვ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უსდ-ში, სადაც მას უკავია აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან თანამშრომლობს მასთან როგორც მოწვეული პერსონალი.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ რეაკრედიტაციისათვის პროგრამა გადამუშავდა, დაემატა ორი აკადემიური პერსონალი, შემცირდა არჩევითი სასწავლო კურსები და, შესაბამისად, შემცირდა მოწვეული პერსონალის რაოდენობა, კერძოდ, პროგრამას გამოაკლდა 19 მოწვეული პერსონალი, დაემატა ორი და ამჟამად პროგრამაზე 16 მოწვეული პერსონალია.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე, სათანადო კომპეტენცია ქართული ფილოლოგიის სწავლის სფეროში და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. კერძოდ, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეუფერხებელ წარმართვას, სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას და სტუდენტურ სერვისებს უზრუნველყოფენ სანგუ-ს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ადმინისტრაცია: დეკანი, დეკანის მოადგილე და სხვ. სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველო, გამოცდების ცენტრი, ბიბლიოთეკა, დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სპორტისა და სტუდენტური ცხოვრების ორგანიზების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და

ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახური, სტრატეგიული ურთიერთობებისა და კომუნიკაციის მენეჯერი და სხვ.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი ქართული ფილოლოგიის, როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის კვალიფიციური მკვლევრები არიან, რასაც მოწმობს მათ მიერ გამოქვეყნებული შრომები, პუბლიკაციები, მონოგრაფიები, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები. კერძოდ, ბოლო 5 წლის განმავლობაში ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელია 621. მათ შორის: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 274, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 73, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 135, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 125, საგრანტო პროექტები - 6, მონოგრაფიები - 6, პრემიები, ჯილდოები - 2. ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების ლექტორები ჩართულები არიან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	5	5	5	4
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	2
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	16			-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- მაგისტრანტის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. აღნიშნული კომპონენტი უნივერსიტეტში რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სანგუ-ს შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვ.) (აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი). სააკრედიტაციოდ წარდგენილ პროგრამას წარმართვას 5 აკადემიური და 16 მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ მაგისტრანტებს ქართველური ენათმეცნიერების და ქართული ლიტერატურის მიმართულებით, რასაც ადასტურებს მათი სამეცნიერო მაჩვენებლები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	11	4
- პროფესორი			2
- ასოცირებული პროფესორი			2
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ❑ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ❑ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე რეგულარულად მიმდინარეობს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზი. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თანამშრომელთა (გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა) შეფასების პროცესის ორგანიზებას და განხორციელებას, თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის პროცესის ორგანიზებას, ხოლო სანგუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ახორციელებს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და ანალიზს. ორივე სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს შესაბამისი წესებითა და კრიტერიუმებით. შეფასების პროცესში გამოიყენება თანამშრომლის შეფასების კითხვარი (არა მენეჯერული პოზიციებისთვის) და თანამშრომლების სამუშაოთი კმაყოფილების კითხვარი. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად კი გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ეროვნული და საერთაშორისო, სხვადასხვა სახის პუბლიკაციები, სახელმძღვანელოები, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში, პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება და სხვ. აკადემიური პერსონალის შეფასებისთვის თვითშეფასების შესავსები ფორმების გადაცემა ხდება ყოველი იანვრის პირველ სამუშაო კვირაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის თვითშეფასების ფორმის დარიგება ხდება მარტსა და სექტემბერში. პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ასევე ხორციელდება ჩატარებული სააუდიტორიო მეცადინეობების მონიტორინგით და სტუდენტების გამოკითხვის გზით. პროგრამებში ჩართული პერსონალი მონაწილეობს როგორც ეროვნულ, ისე სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში, აქვეყნებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელია 621. მათ შორის: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 274, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 73, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 135, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 125, საგრანტო პროექტები - 6, მონოგრაფიები - 6, პრემიები, ჯილდოები - 2 2022 წელს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების შესახებ, გაიმართა სამუშაო შეხვედრა. აკადემიური კეთილსინდისიერების და

პლაგიატის თემაზე, ასევე ჩატარდა ინტენსიური ტრენინგი „სილაბუსის და კურიკულუმის შემუშავება“ და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სანგუ-ს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- თანამშრომლის შეფასების კითხვარი (არა მენეჯერული პოზიციებისთვის);
- სტუდენტების გამოკითხვის კითხვარები;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად:

- უნივერსიტეტის განკარგულებაშია 2 სასწავლო კორპუსი. სასწავლო კორპუსები აღჭურვილია: მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- ორივე კორპუსი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის; ორივე კორპუსს ემსახურება ლიფტი;
- სასწავლო კორპუსები აღჭურვილია გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, საე-ვა-კუაციო გეგმებით, თვალსაჩინოებებით, ცეცხლმაქრებითა და შუქ-ხმოვანი სასიგნალო სისტემებით;
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე საგამოცდო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურით და ელექტრონული აღრიცხვის სისტემით;
- სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადოდ, მათ შორის, თანამედროვე ტექნიკით (პროექტორი, პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები);
- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს;
- უნივერსიტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც არის საერთაშორისო კონსორციუმის ELFE -ის წევრი. გაფორმებული ხელშეკრულების სა-ფუძ-ველზე აქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე. უნივერსიტეტს ასევე აქვს წვდომა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წინგნად ფონდზეც.

სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური, ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით. პერსონალს აქვს თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის. სანგუ-ში დანერგილია უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემა UMS. არსებული სისტემის საშუალებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდში, საგამოცდო ცხრილის განთავსებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს მის ელპორტალზე არსებული საგამოცდო ცხრილის რედაქტირება, სასურველი თარიღისა და დროის მიხედვით. აკადემიურ პერსონალს გააჩნია სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა პროგრამულ და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია საკანცელარიო ნივთებითა და მასალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურის დებულება;
- ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგი: <http://library.sangu.edu.ge/home/index.php>;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია: <http://dl.sangu.edu.ge/pdf/gamocd.instrukcia2019.pdf>;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებაზე. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, გრანტებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის ბიუჯეტში წარმოდგენილია ხარჯები არა მარტო შრომითი ანაზღაურების მიმართულებით, არამედ, პერსონალისა და სტუდენტების წახალისების, კვლევების, პროფესიული გადამზადების და სწავლების მიმართულებით. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ასევე საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების ხარჯებს და საუნივერსიტეტო გრანტებისათვის გამოყოფილ სახსრებს. გარდა, პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტისა, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დამატებით ხორციელდება ფინანსური უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალის მივლინებების,

პუბლიკაციებისა და კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯების, მათ შორის პროგრამის სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების ხარჯების დასაფარად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იყოს თანამშრომლობითი, მონაწილე პირები იყვნენ ჩართულნი და ინფორმირებულნი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ. ასევე, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის დანერგვა და უწყვეტი გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მიწოდების ხარისხის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ადგილობრივი და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები; უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები; პროგრამის კომპონენტის განხორციელების პროცესზე დაკვირვება საჭიროების გათვალისწინებით და სხვ.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესი ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, რექტორის სპეციალური ბრძანებით შეიქმნა პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი და დარგობრივი

საბჭო, რომელშიც შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი, სტუდენტი და კურსდამთავრებული, პოტენციური დამსაქმებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან განხორციელებული ინტერვიუს შესაბამისად, დადგინდა, რომ დაინტერესებული მხარეები არ მონაწილეობდნენ სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში, ასევე კურიკულუმის რუკის ფორმირების ნაწილში. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კურიკულუმის რუკაში არსებული შეუსაბამობები, შეფასებულ იქნა როგორც ტექნიკური უზუსტობა. გარდა ამისა, განხორციელებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გამოიკვეთა სხვა დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციით განხორციელებული ცვლილებები და აღნიშნული რეკომენდაციების ასახვა პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესი გაყოფილია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს შორის, შიდა ხარისხის მექანიზმების შესაბამისად, უზრუნველყოფლია სამსახურის პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურების პროცესში ჩართულობა. მიუხედავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობის და მონიტორინგის მექანიზმების გააქტიურების საჭიროებისა, შეიძლება აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო პროცესში მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სანგუ-ს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- შეფასების კითხვარები და განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია “PDCA” პრინციპის ფარგლებში, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა სამიზნე ნიშნულების ფორმირების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 21 ნოემბერს, ექვს თვეში ანგარიშის წარდგენის პირობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადასტურდა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების/რჩევების ასახვა და გამოყენება პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში. ამასთან, უსდ მუშაობს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის დასაანერგად ყველა პროგრამასთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საუკეთესო თანამედროვე გამოცდილებების გაზიარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. ასევე, ხორციელდება დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა და შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება. არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება სასწავლო კურსის შინაარსის, შეფასების სისტემის მოდიფიცირება და საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო

პრაქტიკის გაზიარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლევულ იქნა საქართველოში მოქმედი ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ფილოლოგიის, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამები (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი). ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა პროგრამის ინდივიდუალიზმი - უცხო ენებს ეთმობა კრედიტების დიდი რაოდენობა, სავალდებულო საგნები რომელიც ორივე მოდულს აერთიანებს და ციფრული ჰუმანიტარიის სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სანგუ-ს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- შეფასების კითხვარები და განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა



რამაზ კვირიკაძე


სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა ჭრელაშვილი



ანა ჭრელაშვილი